საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1226
06/03/2025

1226-01-2-202503061211

ამირან პეტრიაშვილს (პ/ნ 01019085885)

მის: ქ. თბილისი ზღვისუბნის დასახლება,

IV მიკრო/რაიონი, კორპუსი №8, ბინა №190 (ყოფ. თემქის დას. 4 მკრ.)

ტელ: 555 93 91 80

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 05 მარტის №04/199 ბრძანებით, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა ამირან პეტრიაშვილის (პ/ნ 01019085885) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:
ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;
ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

ზემოხსენებულ შემთხვევაში, შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 05 მარტის №04/199 ბრძანების ასლს.

ამასთანავე, გთხოვთ, კანონის 28-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ Instagram პლატფორმაზე არსებულ სავაჭრო გვერდის Newstyle სავაჭრო პოლიტიკა დისტანციური ვაჭრობის შემთხვევაში, სრული სახით.

დანართი: „1“ ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/199
05.03.2025

ბრძანება

199-01-4-202503051640

მოქალაქე **განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე 2024 წლის 28 ნოემბრის №01/6070 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე- ამირან პეტრიაშვილის (პ/ნ 01019085885) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 04 მარტის №03/262 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე